დანართი №1

2017 წლის 17 მაისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის

შესახებ შრ.სრ.საპ.№1-17 ხელშეკრულებაზე (CMR 170103454)

თბილისი 03.08.2017წ.

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის **ალექსანდრე თევდორაძის** სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ, **შპს „პროექტირება,მშენებლობა, ექსპერტიზა“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **თამაზ შიშინაშვილის** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 ივლისის №1504 განკარგულებით საქართველოს მთავრობის 2017 წლის 02 მარტის №383 განკარგულებაში შეტანილი ცვლილების, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების - საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამსახურისა და საავტომობილო გზების საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის 2017 წლის 03 აგვისტოს №6873-2 მოხსენებითი ბარათისა და 2017 წლის 17 მაისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შრ.სრ.საპ.№1-17 ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.1 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის 2017 წლის 17 მაისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შრ.სრ.საპ.№1-17 ხელშეკრულების (საპროექტო მომსახურების შესყიდვა) (შემდგომში - ხელშეკრულება) პირველი მუხლის 1.1 პუნქტის 1.1.1. ქვეპუნქტში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.1.1. საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-1) თბილისი-სენაკი-ლესელიძის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის მე-40 კმ.-დან (გორი-თბილისის მიმართულება) მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძველი ქანდის ტერიტორიაზე არსებული წმინდა ცამეტი ასურელი მამის მამათა მონასტრამდე მისასვლელი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის ცალკეული დაზიანებული მონაკვეთების (სავარაუდო სიგრძით 0.605 კმ.) სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო დეტალური საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო და შესაბამისად ტექნიკური დავალების შედგენაზე მომსახურების შესყიდვა - შემდგომში მომსახურება.“

2. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, კორექტირებას ექვემდებარება გასაწევი მომსახურების ღირებულება. შესაბამისად, ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 და 2.2 პუნქტები დაკორექტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგ ირედაქციით:

„2.1.ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1. პუნქტის 1.1.1. ქვეპუნქტის და 1.1.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით შეადგენს - 17 078 (ჩვიდმეტი ათას სამოცდათვრამეტი) ლარს.

2.2. ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტის 1.1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს - 5 078 (ხუთი ათას სამოცდათვრამეტი) ლარს.“

3. აღნიშნული ცვლილებები იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია ხელშეკრულების ღირებულება.

2. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

3. ეს დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად. ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

4. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის.

შემსყიდველი დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრე თევდორაძე	მიმწოდებელი შპს „პროექტირება,მშენებლობა, ექსპერტიზა“ დირექტორი თამაზ შიშინაშვილი